



032 290 74 93



office@sabuko.org



www.sabuko.org



ვ. სარაჯიშვილის ქ. 3ა
0108 თბილისი, საქართველო



SABUKO

Society for
Nature
Conservation

თარიღი: 14.08.2022

საბუკოს მოსაზრებები

“გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო
საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორისათვის,
ტრანსსასაზღვრო საკითხებზე განსაკუთრებული
აქცენტით” - შესახებ



SABUKO

Society for
Nature
Conservation

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორისათვის, ტრანსსასაზღვრო საკითხებზე განსაკუთრებული აქცენტით“, მოიცავს მნიშვნელოვან რეკომენდაციებსა და მეთოდოლოგიურ მითითებებს, თუმცა, არსებობს საკითხები, რომელიც დოკუმენტში არ არის ნახსენები, ან არ ეთმობა სათანადო ყურადღება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო მოცულობითია და განკუთვნილია ტექნიკური დახმარებისთვის, თუმცა მასში საკითხები საკმაოდ მოკლეა და განხილული, ამიტომ შესაძლებელია რომ ეფექტურ დამხარე საშუალებას არ წარმოადგენდეს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებთათვის, ასევე ჰესების პროექტების განხორციელებით დაინტერესებული კომპანიებისა, თუ კონსულტანტებისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასება ჩატარდეს, თუმცა დღეისათვის, ვინაიდან არ ხდება ამ მიმართულებით რეგულირება, სასურველია, თუ ყურადღება გამახვილდება არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც ჰესების პროექტების დაგეგმვისა, თუ განხორციელების საფეხურზე წარმოიშობა. ამის ერთ-ერთი მიზეზს კი, ჩვენი აზრით, არასწორი მეთოდოლოგია, არასწორად ჩატარებული კვლევები და დაინტერესებული საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირება წარმოადგენს. სახელმძღვანელოში ძირითადი აქცენტები ვფიქრობთ ამ მიმართულებით უნდა დასმულიყო - განხილულიყო საქართველოში არსებული პრაქტიკა ჰიდროენერგეტიკული პროექტების დაგეგმვა/განხორციელებასთან დაკავშირებით.

დოკუმენტი სასურველია, თუ განხილული იქნება ენერგეტიკული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების თემა. ვინაიდან, ეს საკმაოდ ზღუდავს კომპანიებისა, თუ საკონსულტაციო ორგანიზაციების მიერ, სათანადო ხარისხის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების მომზადებას, სადაც განხილული იქნება ადგილმდებარეობის ალტერნატივები, ბიომრავალფეროვნებაზე, სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და მიიღება კანონმდებლობის შესაბამისი, სამართლიანი გადაწყვეტილება პროექტის განხორციელებისა, თუ განუხორციელებლობის შესახებ.

ამასთან, ვინაიდან დღეს ერთ-ერთ მწვავე საკითხს წარმოადგენს მცირე ჰესების მშენებლობა, მნიშვნელოვანია თუ დოკუმენტი მოიცავს მცირე ტიპის ჰესების პროექტების განხორციელებისათვის ტექნიკურ რჩევებსა და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიას.



ქვემოთ წარმოგიდგენთ დეტალურ მოსაზრებებსა და შენიშვნებს აღნიშნულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით.

1. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ქვეთავში - „ჰიდროელექტროსადგურის ტიპი“ (გვ.7). სხვადასხვა ტიპის ჰესებია განხილული და მისგან გამოწვეული საფრთხეები და სარგებელია შეფასებული. ამგვარ მიმოხილვით ნაწილში, კაშხლიან ჰესებთან მიმართებით, კარგი იქნებოდა ნახსენები იყოს იძულებითი განსახლება, როგორც სოციალურ გარემოზე ზემოქმედი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.
2. კაშხლიანი ჰესების ზემოქმედების აღწერის ნაწილში, ასევე მნიშვნელოვანია სრულფასოვნად წარმოჩინდეს გარემოზე ზემოქმედების საკითხიც, კერძოდ, მიკროკლიმატის შეცვლის ალბათობა, რომელმაც შესაძლოა ნეგატიური ზემოქმედება იქონიოს არა მხოლოდ ბუნებრივ არამედ სოციალურ გარემოზეც. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა, სოფლის მეურნეობის საქმიანობის მეთოდების, ან კულტურების იძულებითი ცვლილება, არახელსაყრელი კლიმატის პირობების გამო. მაგალითად მომატებული ტენიანობა, გახშირებული ნისლიანობა და სხვა.
3. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გაკეთდეს შესაბამისი რეკომენდაციები დიდი ზომის, განსაკუთრებით კაშხლიანი ჰესების ექსპლუატაციიდან გამოსვლის შემდეგ დემონტაჟის გეგმის მომზადების მეთოდებისა და მიდგომების შესახებ, არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
4. დიდი ზომის, კაშხლიანი ჰესების შემთხვევაში, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანგებო სიტუაციებზე (იქნება ეს ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფით, ან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გამოწვეული შემთხვევა) რეაგირების სრულფასოვანი გეგმის არსებობა. კარგი იქნება, თუ სახელმძღვანელო მკაფიოდ განსაზღვრავს რომელ მეთოდოლოგიას უნდა კომპანია რეაგირების გეგმების მომზადებისას და რა ტიპის ინფორმაციას უნდა მოიცავდეს ის.
5. დერივაციული ჰესების შემთხვევაში, მნიშვნელოვნია მკაფიოდ ჩაიწეროს სახელმძღვანელოში, რომ წყლის ხარჯის განსაზღვრისას კომპანიამ უნდა ჩაატაროს სრულყოფილი ჰიდროლოგიური კვლევა, გაითვალისწინოს მდინარის კალაპოტის მორფოლოგია და ხარჯი განისაზღვროს თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, მანამ, სანამ აღნიშნული საკითხი კანონდებლობით დარეგულირდება.
6. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმძღვანელო ეხებოდეს თევზსავლების საკითხსაც. კარგი იქნებოდა თუ სახელმძღვანელოში მითითებული იქნება თევზსავლების შერჩევის კრიტერიუმები ან მიდგომები, რომლებსაც პროექტის განმახორციელებლები პროექტირებისას დაეყრდნობიან.
7. სახელმძღვანელოში ყურადღება უნდა გამახვილდეს ჰიდროელექტროსადგურების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ.



8. კარგი იქნება სახელმძღვანელოში მიეთითოს გზშ-ს ის კომპონენტები, რომლებიც ყველაზე ხშირად შესრულებული არასათანადოდ და საჭიროებს საკონსულტაციო კომპანიების მხრიდან ყურადღების გამახვილებას.
9. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ნაწილში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს და შეფასდეს, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ფაზაზე ხმაურითა და სინათლით გამოწვეული შეწუხების ფაქტორი; ასევე, ზემოქმედების რისკებში დაემატოს და კვლევისას შეფასდეს ინვაზიური/უცხო სახეობების გავრცელების საკითხი.
10. „ზოგადად, სიტუაციას ართულებს ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატის შესახებ (როგორც წყლის, ისე ხმელეთის ეკოსისტემებისთვის) სანდო განახლებული ფონური მონაცემების ნაკლებობა, რის გამოც, გზშ-ის პროცესში არსებული მდგომარეობის ანალიზი დამატებით ძალისხმევას საჭიროებს, რათა მოხდეს ინფორმაციული ხარვეზების კომპენსირება სპეციალიზებული საველე კვლევების მეშვეობით.“- ხშირ შემთხვევაში გარდა ამ პრობლემებისა, მონაცემების შეგროვება საველე კვლევების მეშვეობით ზოგიერთ შემთხვევაში ხდება შეუსაბამო სეზონზე, დროის მცირე მონაკვეთში და არასწორი მეთოდოლოგიით, შესაბამისად, მიღებული კვლევების შედეგები ზოგჯერ არ არის ვალიდური.
11. კარგი იქნება თუ დაკონკრეტდება ის ასპექტები რომელიც უნდა შეფასდეს დაცულ ტერიტორიებზე, ასევე ზურმუხტის ქსელისა და ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე ზემოქმედების შეფასებისას. სასურველია, მიეთითოს სათანადო მეთოდოლოგია და/ან ლიტერატურა.
12. ხშირ შემთხვევაში, გზშ დოკუმენტში რთულად მიკვლევალია წყაროები. რადგან, კონკრეტული ფაქტის მოყვანისას არ ხდება წყაროების სათანადო მითითება, შესაბამისად, ფაქტებისა და მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობისთვის, მნიშვნელოვანია შემუშავდეს და მიეთითოს კონკრეტული რეკომენდაციები წყაროების გამოყენების შესახებ.
13. სახელმძღვანელოს სათაურიდან ჩანს, რომ დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს უნდა აკეთებდეს ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების კონტექსტზე, თუმცა ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად გაბნეულია ტექსტში, რაც ართულებს ერთიანობაში შინაარსის აღქმას. უმჯობესი იქნება თუ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების საკითხს დაეთმობა ცალკე ქვეთავი, სადაც პუნქტობრივად იქნება განხილული ის განსხვავებები რაც ამ პროცედურას სტანდარტული გზშ პროცედურისგან განასხვავებს.
14. ჰიდროელექტროსადგურების პროექტებისთვის, ჰიდროლოგიური მონაცემების არარსებობის შემთხვევაში, ხშირად გამოიყენებენ ანალოგიის მეთოდს, რაც მოიაზრებს, ჰესის პროექტირებისას სხვა მდინარის ჰიდროლოგიური მონაცემების გამოყენებას. სახელმძღვანელოში ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ მიდგომაზე და შემუშავდეს შესაბამისი მითითებები, თუ რა მახასიათებლები უნდა იქნას გათვალისწინებული ანალოგიის მეთოდის გამოსაყენებლად. ასევე, გაიწეროს



SABUKO

Society for
Nature
Conservation

რეკომენდაციები თუ რა შემთხვევაშია მიღებული მსგავსი მიდგომის გამოყენება და რა შემთხვევაში - არა; რა დამატებითი ქმედებები შეიძლება განხორციელდეს განსხვავებულ მდინარეთა მონაცემების გამოყენების შემთხვევაში არსებული ცდომილებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების დასაბალანსებლად და სხვა.